004559120

ექსპერტის დასკვნა № 004559120

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სამედიცინო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

ქვესტრუქტურა: -

დასახელება:

თანამდებობა: უფროსი გამომძიებელი

[illegible]ელი და გვარი: თამაზ თაკაშვილი

საფუძველი: მომართვა

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 032190620001

შემსრულებელი ექსპერტები:

ზურაბ გრიგოლაშვილი / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 19 წლის სტაჟით. სახელმწიფო სერთიფიკატი №19547.

გიორგი ცინცაძე / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 39 წლის სტაჟით.

ეკა ჩავლეიშვილი / სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 26 წლის სტაჟით.

ალექსანდრე გეჯაძე / შპს. დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი "ვექტორი"-ს დირექტორი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 43 წლის სტაჟით.

კახაბერ ერისთავი / შპს. დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი "ვექტორი"-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 35 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები შესაძლებელია თუ არა განვითარებული იყოს დადგენილების აღწერილობით ნაწილში მითითებული სწორი რელიეფის (ზედაპირის) მქონე ასფალტირებულ გზაზე, ან ბილიკის ჩასასვლელამდე ასფალტირებული გზის მიმდებარე გვერდულზე წაქცევა-დაცემით?
2. ხომ არ არის გამოწვეული აღნიშნული დაზიანებები რაიმე მკვრივ -ბლაგვ საგანზე ხახუნით ან თრევით?
3. ხომ არ არის გამოწვეული აღნიშნული დაზიანებები ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობზე მიმავალ ბილიკზე დაგორება-დაცურებით?
4. ხომ არ არის გამოწვეული აღნიშნული დაზიანებები ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობის მიმავალ ბილიკის შემდგომ, მდინარის კალაპოტის მონაკვეთზე წაქცევა-დაცემით?
5. დაზიანებები შესაძლებელია თუ არა განვითარებული იყოს რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (მაგ: ხელკეტისმაგვარი საგნის, ხელის, ფეხის, ქვის) დარტყმით? დამაზიანებელი საგნების რამდენჯერადი ზემოქმედების შედეგად არის მიყენებული გ. შაქარაშვილის სხეულზე არსებული სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები?
6. ცალკე აღებული სახის და თავის არეში არსებული დაზიანებები განვითარებოდა თუ არა დაახლოებით 15.../25... მეტრი

სიმაღლის ხიდიდან ვარდნის შედეგად წყალზე დაცემის ან წყალში ჩავარდნის შედეგად?
7. ცალკე აღებული ტანზე არსებული დაზიანებები განვითარებოდა თუ არა დაახლოებით 15.../25... მეტრი სიმაღლის ხიდიდან ვარდნის შედეგად წყალზე დაცემის ან წყალში ჩავარდნის შედეგად?
8. სახის და თავის არეში, ასევე ტანზე არსებული დაზიანებები ერთობლიობაში განვითარდებოდა თუ არა დაახლოებით 15.../25... მეტრი სიმაღლის ხიდიდან ვარდნის შედეგად წყალზე დაცემის ან წყალში ჩავარდნის შედეგად?

შემოსვლის თარიღი: 14/07/2020 წ

გასვლის თარიღი: 10/08/2020 წ

დასკვნა

თანახმად, საქმის მასალებში არსებული ექსპერტის დასკვნა 003480220-ის მონაცემებისა, გიორგი შაქარაშვილის გვამს აღენიშნებოდა: დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით შუბლის /თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე სისხლჩაქცევასთან ერთად/, ორივე თვალბუდის, ზედა და ქვედა ტუჩების მიდამოებში, კანის ზერელე ნასკდომით ქვედა ტუჩის მიდამოში, სისხლნაჟღენთების სახით მარჯვენა იდაყვის სახსრის, მარჯვენა წინამხრის მიდამოებში, ასევე სისხლჩაქცევების სახით ორივე თვალის ქუთუთოს ლორწოვანსა და სკლერაში, მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან (თეძოს ფრთის საპროექციო მიდამოდან) მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი სისხლნაჟღენთი და შესაბამისად მცირე მენჯის ღრუს წინა კედელზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები იმბიბიციის სახით, ასევე სისხლნაჟღენთები მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ და ორივე დუნდულოს მიდამოებში, რეტროპერიტონეალურად ორმხრივ რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევებით - დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია.

გამოძიების მიერ ტრავმის განვითარების მექანიზმის მხრივ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით ექსპერტიზის წარმოების პროცესში ექსპერტთა კომისიის წევრების თანდასწრებით, გამოძიების მიერ შემთხვევის ადგილზე გასვლის რეჟიმში დაკონკრეტდა შესაბამისი ლოკაციები, რაზეც მითითებულია დადგენილების კითხვებში, კერძოდ თუ სად მდებარეობს და რას წარმოადგენს მაგ: ფერდობზე მიმავალი ბილიკი, სწორი რელიეფის (ზედაპირის) მქონე ასფალტირებული გზა ბილიკის ჩასასვლელამდე და ა.შ.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ს.ს. №032190620001 საქმის მასალების და გვამის გამოკვლევის მონაცემების გათვალისწინებით, დადგენილებაში დასმული კითხვების შესაბამისად მივდივართ შემდეგ შედეგებამდე:

1. გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების - სისხლნაჟღენთების სახით შუბლის /თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე სისხლჩაქცევასთან ერთად/, ორივე თვალბუდის, ზედა და ქვედა ტუჩების მიდამოებში, ნასკდომით ქვედა ტუჩზე, სისხლნაჟღენთების სახით მარჯვენა იდაყვის სახსრის, მარჯვენა წინამხრის მიდამოებში, ასევე სისხლჩაქცევების სახით ორივე თვალის ქუთუთოს ლორწოვანსა და სკლერაში, მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან (თეძოს ფრთის საპროექციო მიდამოდან) მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი სისხლნაჟღენთი (ზ. 32X8 სმ.) და შესაბამისად მცირე მენჯის ღრუს წინა კედელზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები იმბიბიციის სახით, ასევე სისხლნაჟღენთები მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ (ზ. 4X1სმ.) და ორივე დუნდულოს მიდამოებში, რეტროპერიტონეალურად ორმხრივ რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევებით - გათვალისწინებით:

ექსპერტიზა გამორიცხავს გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების, სწორი რელიეფის (ზედაპირის) მქონე ასფალტირებულ გზაზე ან ბილიკის ჩასასვლელამდე ასფალტირებული გზის მიმდებარე გვერდულზე წაქცევა-დაცემით, ერთობლივად განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტიზა ასევე გამორიცხავს ცალ-ცალკე ან/და ერთად აღებული დაზიანებების - სისხლნაჟღენთის მუცლის წინა ზედაპირზე, ქვემო მესამედში (შესაბამისად მენჯის წინა კედელზე სისხლჩაქცევით), ასევე სისხლნაჟღენთის მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ (შესაბამისად მარჯვნივ რეტროპერიტონეალურად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევებით), მარცხნივ რეტროპერიტონეალურად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევების და ერთობლივად სახეზე (თავზე) არსებული დაზიანებების - სწორი რელიეფის (ზედაპირის) მქონე ასფალტირებულ გზაზე, ან ბილიკის ჩასასვლელამდე ასფალტირებული გზის მიმდებარე გვერდულზე წაქცევა-დაცემით განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტიზა ვერ გამორიცხავს ცალკე აღებული - მარჯვენა იდაყვზე და მარჯვენა წინამხარზე არსებული დაზიანებების და დუნდულოებზე არსებული დაზიანებების (ერთად და ცალ-ცალკე) ან ცალკე სახეზე (თავზე) არსებული დაზიანებების (რომელიმე ცალკეული ლოკალიზაციის - ან შუბლის არეში მარცხნივ /თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე სისხლჩაქცევასთან ერთად/, ან შუბლის მიდამოში მარჯვნივ, ან მარჯვნივ წარბის გარეთა კიდესთან, ან მარჯვენა თვალბუდის არეში გარდამავალი ცხვირის არეში მარჯვნივ, ან მარცხენა თვალბუდის არეში გარდამავალი ცხვირის არეში მარცხნივ, ან ზედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ გარდამავალი ლორწოვანზე, ან ქვედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ ქვედა ტუჩის ლორწოვანზე გარდამავალი უსწოროკიდეებიანი ზერელე ნასკდომით) - განვითარების შესაძლებლობას სწორი რელიეფის (ზედაპირის) მქონე ასფალტირებულ გზაზე, ან ბილიკის ჩასასვლელამდე ასფალტირებული გზის მიმდებარე გვერდულზე

წაქცევა-დაცემით.

2. 3. გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები (სისხლნაჟღენთები და სისხლჩაქცევები) არ წარმოადგენენ დაზიანების მიმყენებელი საგნის (საგნების) სხეულთან დინამიური კონტაქტის კვლებს, ამდენად, გამოირიცხება მათი განვითარების შესაძლებლობა ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობზე მიმავალ ბილიკზე დაგორება-დაცურებით და/ან რაიმე მკვრივ-ბლაგვ საგანზე ხახუნით ან თრევით.

4. ექსპერტიზა გამორიცხავს გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების, ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობის მიმავალი ბილიკის შემდგომ, მდინარის კალაპოტის მონაკვეთზე წაქცევა-დაცემით, ერთობლივად განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტიზა ასევე გამორიცხავს ცალ-ცალკე ან/და ერთად აღებული დაზიანებების - სისხლნაჟღენთის (ზ. 32X8 სმ.) მუცლის წინა ზედაპირზე, ქვემო მესამედში /შესაბამისად მენჯის წინა კედელზე სისხლჩაქცევით/, ასევე სისხლნაჟღენთის (ზ. 4X1სმ.) მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ /შესაბამისად მარჯვნივ რეტროპერიტონეალურად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევებით/, მარცხნივ რეტროპერიტონეალურად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევების და ერთობლივად სახეზე (თავზე) არსებული დაზიანებების - ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობის მიმავალ ბილიკის შემდგომ, მდინარის კალაპოტის მონაკვეთზე წაქცევა-დაცემით განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტიზა ვერ გამორიცხავს ცალკე აღებული - მარჯვენა იდაყვზე და მარჯვენა წინამხარზე არსებული დაზიანებების და დუნდულოებზე არსებული დაზიანებების (ერთად და ცალ-ცალკე) ან ცალკე სახეზე (თავზე) არსებული დაზიანებების (რომელიმე ცალკეული ლოკალიზაციის - ან შუბლის არეში მარცხნივ /თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე სისხლჩაქცევასთან ერთად/, ან შუბლის მიდამოში მარჯვნივ, ან მარჯვნივ წარბის გარეთა კიდესთან, ან მარჯვენა თვალბუდის არეში გარდამავალი ცხვირის არეში მარჯვნივ, ან მარცხენა თვალბუდის არეში, გარდამავალი ცხვირის არეში მარცხნივ, ან ზედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ გარდამავალი ლორწოვანზე, ან ქვედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ ქვედა ტუჩის ლორწოვანზე გარდამავალი უსწოროკიდეებიანი ზერელე ნასკდომით) - განვითარების შესაძლებლობას - ასფალტირებული გზიდან ჩანთის აღმოჩენის ადგილამდე ფერდობის მიმავალ ბილიკის შემდგომ, მდინარის კალაპოტის მონაკვეთზე წაქცევა-დაცემით.

5. გიორგი შაქარაშვილის გვამზე არსებული სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი მატრავმირებელი საგნის (საგნების) არაერთჯერადი ზემოქმედებით.

ექსპერტიზა გამორიცხავს - სისხლნაჟღენთის მუცლის წინა ზედაპირზე, ქვემო მესამედში შესაბამისად მენჯის წინა კედელზე სისხლჩაქცევით- განვითარების შესაძლებლობას ხელკეტის მაგვარი საგნის ზემოქმედებით (დარტყმით). ასევე გამორიცხულია ამ დაზიანების განვითარების შესაძლებლობა მუშტის (ერთჯერადი) ზემოქმედებით (დარტყმით). დაზიანება მაღალი ალბათობით შესაძლებელია განვითარებულიყო ფართე მატრავმირებელი ზედაპირის მქონე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, როგორიცაა ფეხი, ქვა (დარტყმით). არ არის გამორიცხული აღნიშნულის განვითარება მუშტის არაერთჯერადი ზემოქმედებითაც (დარტყმით).

მარჯვნივ წელის მიდამოში არსებული სისხლნაჟღენთი და მის შესაბამისად მარჯვენამხრივი რეტროპერიტონეალური სისხლჩაქცევა მაღალი ალბათობით შესაძლებელია განვითარებულიყო ხელკეტის მსგავსი საგნით, თუმცა არ არის გამორიცხული აღნიშნული დაზიანების განვითარება ფეხით, ქვის დარტყმით; ექსპერტიზა გამორიცხავს აღნიშნული დაზიანების განვითარების შესაძლებლობას ხელის დარტყმით.

მარცხენამხრივი რეტროპერიტონეალური სისხლჩაქცევა შესაძლებელია განვითარებული იყოს ხელის, ფეხის, ქვის დარტყმით. ექსპერტიზა გამორიცხავს აღნიშნული დაზიანების განვითარების შესაძლებლობას ხელკეტის მსგავსი საგნით დარტყმით.

- გიორგი შაქარაშვილის გვამზე არსებული ყველა სხვა სიცოცხლისდროინდელი დაზიანება ასევე მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგია, როგორიცაა: ხელკეტის მაგვარი საგანი, ხელი, ფეხი, ქვა.

6.7.8. გიორგი შაქარაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებათა მორფოლოგიური სურათიდან, ლოკალიზაციიდან და მათი მხარეობიდან გამომდინარე, ექსპერტიზა გამორიცხავს ცალკე აღებული სახის (თავის) არეში არსებული დაზიანებების, ცალკე აღებული ტანზე არსებული დაზიანებების და ერთობლიობაში ყველა დაზიანების განვითარების შესაძლებლობას - დაახლოებით 15.../25... მეტრი სიმაღლის ხიდიდან თავისუფალი ვარდნის შემდეგ, წყალზე დაცემის ან წყალში ჩავარდნის შედეგად.

ზურაბ გრიგოლაშვილი

გიორგი ცინცაძე

ეკა ჩავლეიშვილი

ალექსანდრე გეჯაძე

კახაბერ ერისთავი

გამოკვლევა

საქმის გარემოება: დადგენილებიდან ირკვევა, რომ: საქართველოს შ.ს.ს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №032190620001 საქმეზე.

ექსპერტიზაზე დამატებით, 06.08.2020წ. (რეგ.N1005085120) წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა შემდეგი:"..გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გთხოვთ მოგვცეთ შუალედური დასკვნა დადგენილებაში მითითებული იმ კითხვების შესახებ, რომელზეც უკვე დასრულებულია საექსპერტო კვლევა."

სისხლის სამართლის №032190620001 საქმის მასალების მონაცემები.

სამედიცინო დოკუმენტების მონაცემები: ექსპერტის დასკვნა № 003480220-ის (**გიორგი შაქარაშვილის გვამის** ექსპერტიზა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი - ეკა ჩავლეიშვილი და კახაბერ ერისთავი, 22/06/2020 – 09/07/2020 წ.) მონაცემები: "...**დასკვნა:** გიორგი შაქარაშვილის სიკვდილის მიზეზია ასფიქსია წყალში დახრჩობით, რაც დასტურდება გვამიდან აღებული თირკმლის ცენტრიფუგატში დიატომური და ფიტოპლანქტონის არსებობით და გვამის გამოკვლევის დროს ნანახი მიკრო და მაკრომორფოლოგიური სურათით (გულის მარჯვენა ნახევრის სისხლსავსეობით, სასუნთქ გზებში წვრილბუშტუკოვანი ქაფიანი სითხის არსებობით, ფილტვების შეშუპებით-ცომისებური კონსისტენციის, ფილტვების მფარავი პლევრის ქვეშ კეროვანი სისხლჩაქცევებით - რასკაზოვ-ლუკომსკის/პალტაუფის ლაქები, წერტილოვანი ხასიათის სისხლჩაქცევებით ეპიკარდიუმის და ორივე ფილტვის მფარავი პლევრების ქვეშ - ტარდიეს ლაქები); სიკვდილის დადგომიდან გვამის სასამართლო- მედიკური წესით გამოკვლევამდე გასულია 48 საათზე მეტი დრო. გიორგი შაქარაშვილის გვამზე არსებული დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით შუბლის /თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე სისხლჩაქცევასთან ერთად/, ორივე თვალბუდის, ზედა და ქვედა ტუჩების მიდამოებში, კანის ზერელე ნასკდომით ქვედა ტუჩის მიდამოში, სისხლნაჟღენთების სახით მარჯვენა იდაყვის სახსრის, მარჯვენა წინამხრის მიდამოებში, ასევე სისხლჩაქცევების სახით ორივე თვალის ქუთუთოს ლორწოვანსა და სკლერაში, მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან (თეძოს ფრთის საპროექციო მიდამოდან) მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი სისხლნაჟღენთი და შესაბამისად მცირე მენჯის ღრუს წინა კედელზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები იმბიბიციის სახით, ასევე

სისხლნაჟღენთები მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ და ორივე დუნდულოს მიდამოებში, რეტროპერიტონეალურად ორმხრივ რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევებით - განვითარებული არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის /საგნების/ მოქმედებით და ცოცხალ პირთა სხეულის დაზიანებათა ხარისხის განსაზღვრისას იზოლირებულად აღებული ატარებენ სხეულის დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშნებს და დამდგარ სიკვდილის ფაქტთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან. დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია, განვითარებული არიან სიკვდილის წინა ახლო პერიოდში. გიორგი შაქარაშვილის გვამზე კანის ზედაპირულად აშრევებული უბნები და მარჯვენა წინამხრის მიდამოში არსებული კანის დეფექტი სისხლჩაქცევების გარეშე განვითარებული არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით სიკვდილის შემდგომ პერიოდში. 3,4; გვამის გამოკვლევით რაიმე სახის ჭრილობა არ აღენიშნებოდა....- სისხლში აღმოჩნდა 0,85‰ ეთილის სპირტი... **30.06.2020წ. ექსპერტიზაზე დამატებით წარმოდგენილი იქნა დადგენილება** (რეგ. N 1004088120), საიდანაც ირკვევა შემდეგი: " 2020 წლის 18 ივნისს, დაახლ. 23:00სთ. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა N76-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ირაკლი წაქაძემ, საბა ჩხარტიშვილმა და საბა გოგშელიძემ ჯგუფურად ცემეს ნიკოლოზ ხეჩოშვილი და ვახტანგ ჩიქოვანი, რომელთაც მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები და განიცადეს ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის შემდგომ, ნიკოლოზ ცუცქირიძემ, ლაშა შერმადინმა, გიორგი მერაბიშვილმა, გიგა ტატიაშვილმა და ვახტანგ ჩიქოვანმა ორგანიზება გაუწიეს ჯგუფურ ძალადობას, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდნენ და ასევე თავადაც სხვა პირებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას. კერძოდ, ნიკოლოზ ხეჩოშვილის და ვახტანგ ჩიქოვანის ცემის გამო, შურისძიების მოტივით, ჩხუბში მონაწილე-მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებზე ფიზიკურად გასწორების მიზნით, 2020 წლის 19 ივნისს, დაახლ. 00:30 საათზე, გიგა ტატიაშვილის და ვასილი მახარაძის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილებით, გიგა ტატიაშვილი, ნიკოლოზ ცუცქირიძე, ნიკა ჟვანია, ნიკა ქანაშვილი, თენგიზ ბარბაქაძე, ირაკლი მუმლაძე, ვახტანგ ჩიქოვანი, ვასილ მახარაძე, აკაკი ქვრივიშვილი, ზეზვა ხომასურიძე, არჩილ გაგნიძე და ნიკოლოზ რევაზიშვილი ქ. თბილისიდან გაემართნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიმართულებით, სადაც მათ ასევე ელოდებოდნენ ლაშა შერმადინი და გიორგი მერაბიშვილი. 2020 წლის 19 ივნისს, დაახლ. 00:47სთ. გიგა ტატიაშვილი, ნიკოლოზ ცუცქირიძე, ნიკა ჟვანია, ნიკოლოზ ქანაშვილი, თენგიზ ბარბაქაძე და ირაკლი მუმლაძე ავტომობილით მივიდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტში მდინარე არაგვის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებოდნენ გიორგი შაქარაშვილი, გურამ ამირხანაშვილი, გიორგი ქათამაძე, ვახტანგ ახვლედიანი, იაკობ ბრეგვაძე და კონსტანტინე ღიბრაძე, ადგილზე მივიდნენ ასევე გიორგი მერაბიშვილი და ლაშა შერმადინი. აღნიშნულის შემდგომ, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. მცხეთა სამხედროს ქუჩა N76-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტის დროს ნიკოლოზ ხეჩოშვილის და ვახტანგ ჩიქოვანის ცემის გამო შურისძიების მოტივით, მათზე ფიზიკურად გასწორების მიზნით, გიგა ტატიაშვილმა, ნიკოლოზ ცუცქირიძემ, ნიკა ჟვანიამ, ნიკოლოზ ქანაშვილმა, თენგიზ ბარბაქაძემ, ირაკლი მუმლაძემ, გიორგი მერაბიშვილმა და ლაშა შერმადინმა შეურაცხყოფა მიაყენეს გიორგი შაქარაშვილს, გურამ ამირხანაშვილს, გიორგი ქათამაძეს, ვახტანგ ახვლედიანს, იაკობ ბრეგვაძეს და კონსტანტინე ღიბრაძეს. ამავდროულად დაედევნენ მათ საცემად და ფიზიკურად გაუსწორდნენ გიორგი ქათამაძეს, კონსტანტინე ღიბრაძეს და ვახტანგ ახვლედიანს, ხოლო გიორგი შაქარაშვილმა, გურამ ამირხანაშვილმა და იაკობ ბრეგვაძემ თავს გაქცევით უშველეს. აღნიშნულის შემდგომ გიგა ტატიაშვილმა, ნიკოლოზ ცუცქირიძემ, ნიკა ჟვანიამ, ნიკოლოზ ქანაშვილმა, თენგიზ ბარბაქაძემ, ირაკლი მუმლაძემ, გიორგი მერაბიშვილმა და ლაშა შერმადინმა დატოვეს შემთხვევის ადგილი. გიგა ტატიაშვილის, ნიკოლოზ ცუცქირიძის, ნიკა ჟვანიას, ნიკოლოზ ქანაშვილის, თენგიზ ბარბაქაძის, ირაკლი მუმლაძის, გიორგი მერაბიშვილის და ლაშა შერმადინის წასვლის შემდგომ, შემთხვევის ადგილზე დარჩნენ გიორგი ქათამაძე, ვახტანგ ახვლედიანი, გურამ ამირხანაშვილი და გიორგი შაქარაშვილი. მალევე, 2020 წლის 19 ივნისს, დაახლ. 00:53 საათზე, მათთან მივიდნენ ვახტანგ ჩიქოვანი, ვასილ მახარაძე, აკაკი ქვრივიშვილი, ზეზვა ხომასურიძე, არჩილ გაგნიძე და ნიკოლოზ რევაზიშვილი, რომელთაც მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. მცხეთა, სამხედრო ქუჩა N76-ში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტის დროს (ნიკოლოზ ხეჩოშვილის და ვახტანგ ჩიქოვანის ცემის გამო. შურისძიების მოტივით, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს გიორგი შაქარაშვილს, გურამ ამირხანაშვილს, გიორგი ქათამაძეს და ვახტანგ ახვლედიანს. ამავდროულად, დაედევნენ მათ საცემად და მოუწოდებდნენ, რომ გაჩერებულიყვნენ. თავის მხრივ, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, გიორგი შაქარაშვილი, გურამ ამირხანაშვილი, გიორგი ქათამაძე და ვახტანგ ახვლედიანი გაიქცნენ საავტომობილო გზაზე, მოძრაობის საპირისპირო მხარესმდინარე არაგვის თავზე არსებული ხიდისკენ. შემდგომ გადაკვეთეს გზა და გადავიდნენ საავტომობილო გზის დასავლეთის მიმართულებაზე, შემდგომ კი გზიდან მარჯვენა მხარეს არსებული ბუჩქნარისკენ, სადაც დაიმალნენ გურამ ამირხანაშვილი და შაქარაშვილი გაიქცა მდინარე არაგვის მიმართულებით. ვახტანგ ჩიქოვანმა, ვასილ მახარაძემ, აკაკი ქვრივიშვილმა, ზეზვა ხომასურიძემ, არჩილ გაგნიძემ და ნიკოლოზ რევაზიშვილმა იპოვნეს ბუჩქებში დამალული გურამ ამირხანაშვილი, რომელსაც აღუკვეთეს თავისუფლება, კერძოდ, მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩასვეს ავტომობილის უკანა სავარძელზე და დაუსხდნენ გვერდებში, რომ არ გაქცეულიყო, რის შემდგომაც ასევე მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს ქალაქ თბილისში და მიიყვანეს მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად გურამ ამირხანაშვილის მოთხოვნისა, გაეჩერებინათ ავტომობილი და მიეცათ გადასვლის უფლება, ვახტანგ ჩიქოვანმა, ვასილ მახარაძემ, აკაკი ქვრივიშვილმა, ზეზვა ხომასურიძემ, არჩილ გაგნიძემ და ნიკოლოზ რევაზიშვილმა იგი მაინც ქალაქ თბილისში წაიყვანეს. 2020 წლის 22 ივნისს, მდინარე არაგვში აღმოჩენილი იქნა გიორგი შაქარაშვილის გვამი. **ადგილმდებარეობის (საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის) დათვალიერების ოქმის მონაცემები:** „..საგამოძიებო მოქმედების დაწყების დრო: 22.06.2020წ. 15:05სთ."...სადაც ნაპირიდან 1,5 მეტრში წყალში გულდაღმა არის გვამი, რომლის სახე და კიდურები არის წყალში, ხოლო წყლიდან ჩანს ზურგი და უკანალი... გვამი შავი ფერის სპეციალიზირებული ტომრის საშუალებით გადმოტანილი იქნა მიწის ნიადაგზე. საგამოძიებო მოქმედებაში ასევე მონაწილეობდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რომლის მიერაც მოხდა გვამის გარეგანი დათვალიერება. შავი

ფერის პოლიეთილენის სპეციალურ ტომარაში გულაღმა მდგომარეობაში ასვენია ზომიერი კვების, მამრობითი სქესის გვამი. გვამი და მისი ტანსაცმელი სველია და მოსვრილია მოყვითალო-მორუხო ფერის შლამით... გვამის სახე, გულმკერდი და ორივე ზემო კიდურები დაფარულია მომღვრიო, მოწვანო, მორუხო ფერის ლპობითი ბადით. გვამური გაშეშება გამოხატულია ყველა ჯგუფის კუნთებში....". **ექსპერტიზაზე დამატებით 22.06.2020წ. (რეგ. N1003879620) წარმოდგენილი იქნა დამატებითი მომართვა:**".. 2020 წლის 22 ივნისს დანიშნულ გიორგი შაქარაშვილის გვამის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ ჩართოთ შპს. დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვექტორი"-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი კახაბერ ერისთავი. **გვამის გარეგანი დათვალიერება:** სასექციო მაგიდაზე ასვენია სწორი აგებულების, დამაკმაყოფილებელი კვების, მამრობითი სქესის გვამი სიგრძით 169სმ., წონით 73 კგ. გვამს აცვია: მორუხო ფერის ყვითელ და შავორნამენტებიანი დღის პერანგი, მწვანე შავი ფერით კუბოკრული ტრუსი, მოშავო ფერის მოკლე შარვალი (ე.წ. „შორტი); კისრის არეში უკეთია მორუხო-მოთეთრო ფერის მეტალის ყელსაბამი ასეთივე ფერის მეტალის ჯვრით. გვამი და ტანსაცმელი სველია, მოსვრილია შლამით. გვამზე ალაგ აღენიშნება კანზე მიკრული მცირე ზომის ცოცხალი წურბელები. გვამს ასდის ლპობისათვის დამახასიათებელი სუნი. პირი ნახევრად ღია, ენა პირის ღრუშია, ქვედა ტუჩის მიდამოში მარჯვნივ ქობისა და ლორწოვანის საზღვარზე ვიწრო ზოლის სახით გამოხატულია გამოშრობა. ქუთუთოები დახურული, ორივე თვალის ქუთუთოს ლორწოვანსა და სკლერაში აღინიშნება მუქი წითელი ფერის სისხლჩაქცევები, გუგები შემღვრეული, ფერადი გარსის საზღვრები არ განირჩევა. გარეთა სასმენი ხვრელებიდან და ნესტოებიდან რაიმე გამონადენი არ აღინიშნება. სახისა და კიდურების ძვლები ხელის შეხებით მთელია. მარჯვენა მტევანი მიქცეულია რამდენადმე შიგნით პოზიციური მდებარეობის გამო (სახსარში პათოლოგიური მოძრაობა არ აღენიშნება, ძვლოვანი კრეპიტაცია არ მოისმინება); კისერი საშუალო სიმაღლის. გულმკერდი კასრისებური, მუცელი ოვალური, მდებარეობს ნეკნთა რკალის დონეზე. გარეთა სასქესო ორგანოები ჩვეულებრივი განვითარების. უკანა ტანის მიდამო მოსვრილია განავლოვანი მასებით. სფინქტერი დუნე, ნაოჭიანობა გამოხატულია, უკანა ტანის მიდამოში მექანიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშანი არ აღენიშნება. გვამი ხელის შეხებით ცივია. გვამური გაშეშება მოხსნილია. გვამის სხეულზე (გარდა ქვემო კიდურებისა), როგორც წინა, ასევე უკანა ზედაპირებზე-თავის, კისრის, გულმკერდის, მუცლის, წელის მიდამოებში, ასევე ზემო კიდურების მიდამოებში კანი მორუხო-მომწვანო-მოწითალო ფერის, გამოხატულია ლპობითი ბადე - ლპობითი პროცესების გამო. აღნიშნულის ფონზე გვამური ლაქები იისფერი- მორუხო ფერის, კიდეებში მოვარდისფროში გარდამავალი, გამოხატულია სხეულის წინა ზედაპირებზე სახის, კისრის, გულმკერდის და მუცლის წინა ზედაპირებზე, ორივე ზემო კიდურის (მხრების) მიდამოებში, თითის დაჭერით ფერს არ იცვლიან. ცხვირის არეში, მარჯვნივ ქვედა ყბის, მარჯვნივ ძუძუს დვრილის მიმდებარედ, ასევე გულმკერდისა და მუცლის წინა-მარცხენა ნახევარში, მხრის თავის არეში მარცხნივ ფრაგმენტულად გამოხატულია გვამური ლაქებისაგან თავისუფალი მკრთალი უბნები. ორივე მტევანზე კანი მოთეთრო ფერის შენაოჭებული- გამოხატულია ე.წ „მრეცხავის ხელები". ასეთივე მოთეთრო ფერის შენაოჭებული კანი გამოხატულია ტერფების მიდამოებში. სახის მიდამოში (უმეტესად შუბლისა და ცხვირის მიდამოებში), ასევე გულმკერდის წინა ზედაპირზე, ორივე მხრის და მუხლის სახსრების წინა ზედაპირებზე გამოხატულია კანის ზედაპირულად აშრევებული, ალაგ მორუხო, ალაგ მოთეთრო ფერის უბნები, სისხლჩაქცევების გარეშე, ალაგ კანის ზედაპირული შრე ხელის შეხებით ადვილად შრევდება და რჩება მოთეთრო ფერის უბნები. **დაზიანებები:** მოლურჯო-მოიისფრო ფერის სისხლნაჟღენთები: შუბლის არეში მარცხნივ გაფანტულად მდებარე 11X8სმ. ფართზე; შუბლის მიდამოში მარჯვნივ 6X3სმ. ფართზე (სისხლნაჟღენთების ზომები მერყეობს 0,2X0,3სმ.-დან 3X3,5სმ.-მდე); აღნიშნულის ქვემოთ და მარჯვნივ წარბის გარეთა კიდესთან 4,5X3,5სმ ზომის; მარჯვენა თვალბუდის არეში 7,5X4სმ. ფართზე გარდამავალი ცხვირის არეში მარჯვნივ; მარცხენა თვალბუდის არეში 7,3X3სმ. ფართზე, გარდამავალი ცხვირის არეში მარცხნივ. ზედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ 1,2X1სმ გარდამავალი ლორწოვანზე. ქვედა ტუჩის ქობაზე მარცხნივ ქვედა ტუჩის ლორწოვანზე გარდამავალი 2,4X1,8სმ., რომლის ფონზე (თითქმის ტუჩის ცენტრალურად)აღინიშნება უსწოროკიდეებიანი ზერელე ნასკდომი ზ. 0,2X0,1სმ., კიდეებში მუქი წითელი ფერის სისხლჩაქცევებით (პირის ღრუს ლორწოვანი დანარჩენ ადგილას სისხლჩაქცევების გარეშე, ბაღლები მთელი). ასეთივე ფერის სისხლნაჟღენთები: მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან (თეძოს ფრთის საპროექციო მიდამოდან) მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი 32X8 სმ. ფართზე; მარჯვენა იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე ზ. 3X2სმ. და მარჯვენა წინამხრის ზემო მესამედში უკანა ზედაპირზე ზ. 1X1სმ; მარცხნივ დუნდულოს გარეთა ზედა კვადრანტში ზ. 2X2სმ; მარცხნივ დუნდულოს გარეთა ქვედა და ზედა კვადრანტების საზღვარზე ზ. 1X1სმ; მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ ზ. 4X1სმ. მარჯვენა დუნდულოს ზედა გარეთა კვადრანტში ზ. 2X1სმ. მარჯვენა წინამხრის ზემო მესამედში უკანა ზედაპირზე კანის დეფექტი უსწორო კიდეებით ზ. 0,6X0,4X0,3სმ., დეფექტის ფსკერსა და კიდეებში სისხლჩაქცევების გარეშე. **გვამის შინაგანი გამოკვლევა:** კანქვეშა ცხიმი ზომიერად განვითარებული, კუნთები განაკვეთზე მორუხო-მოწითალო. ძვალსახსროვანი სისტემა ტრავმული პათოლოგიის გარეშე. შინაგანი ორგანოები დუნე კონსისტენციის, ასდის ლპობისათვის დამახასიათებელი სუნი; გარეგნულად მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ არსებული სისხლნაჟღენთის შესაბამისად რეტროპერიტონეალურად მარჯვნივ რბილ ქსოვილებში აღინიშნება მუქი წითელი ფერის სისხლჩაქცევები. ასეთივე მუქი წითელი ფერის სისხლჩაქცევები აღინიშნება მარცხნივ რეტროპერიტონეალურად რბილ ქსოვილებში. მცირე მენჯის ღრუს წინა კედელზე (გარეგნულად აღწერილი მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი სისხლნაჟღენთის შესაბამისად) რბილი ქსოვილების მუქი წითელი ფერის სისხლჩაქცევები იმბიბიციის სახით. **თავის ქალას ღრუ:** თავის რბილი საფარი მთელი, რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე მარცხნივ შუბლის არეში არსებული სისხლნაჟღენთის შესაბამისად აღენიშნება სისხლჩაქცევა მუქი წითელი ფერის 2X1,8სმ. ფართზე; დანარჩენ ადგილას რბილი საფარის შიგნითა ზედაპირი მორუხო-მოწითალო. ქალა-სარქველის ძვალი მთელია. მაგარი გარსი მორუხო, მიკრულია ქალასარქველთან. რბილი გარსები დაბინდული, ნამიანი. თავის ტვინი ხელის შეხებით დუნე კონსისტენციის, მისი ზომებია 15X13X10,5სმ. წონით 1340გრ. ჰემისფეროები სიმეტრიული. თავის ტვინის ხვეულები დაბრტყელებული, ღარები გადასწორებული. საზღვარი რუხ და თეთრ

ნივთიერებას შორის გასარჩევია. ნათხემი და მოგრძო ტვინი ჩვეულებრივი, განაკვეთზე მოთეთრო-მორუხო, საზღვარი გასარჩევია, პარკუჭები ნაპრალისებრი ფორმის, ეპენდიმა სადა, კრიალა, შეიცავს შემღვრეულ თავ-ზურგ-ტვინის სითხეს მოჭარბებული რაოდენობით. ქალას ფუძე მთელია. **გულმკერდის ღრუ:** გულმკერდის ღრუს ორგანოთა განლაგება ჩვეულებრივი. შუასაყარის ორგანოთა დგომა ჩვეულებრივი. შუასაყარის ლიმფური კვანძები გადიდებული არ არის. დიაფრაგმის გუმბათის დგომა მარცხნივ მე-VI, მარჯვნივ V ნეკნის დონეზე. გულის პერანგში მოყვითალო ფერის შემღვრეულ სითხე 10 მლ.-მდე. **მუცლის ღრუ:** მუცლის ღრუს ორგანოთა განლაგება ჩვეულებრივი. ბადექონი და ჯორჯალი შეიცავს ცხიმის ზომიერ რაოდენობას, ნაწლავთა მარყუჟები ხელის შეხებით თავისუფლად მოძრავი. მეზენტერიალური ლიმფური კვანძები გადიდებული არ არის. **გულსისხლძარღვთა ორგანოები:** გულის ზომებია: 9,5X9,5X4,2 სმ. წონით 270გრ, გულის მკვებავი სისხლის მილები განაკვეთზე თანაბარი, სადა. გულის სარქველები მოქნილი, ხვრელებს კარგად ხურავენ. გულის მარჯვენა ნახევარში აღენიშნება მუქი მოწითალო ფერის თხიერი სისხლი მოჭარბებულად. ეპიკარდიუმის ქვეშ აღინიშნება გაფანტული ერთეული მოწითალო ფერის წერტილოვანი ხასიათის სისხლჩაქცევები (ტარდიეს ლაქები). გულის კუნთი განაკვეთზე მოწითალო-მორუხო, მარცხენა პარკუჭის კედლის სისქეა 1,5სმ. მარჯვენასი 0,4სმ. პარკუჭთაშუა ძგიდე- სისქით 1,4სმ. ეპიკარდიუმი სადა, სველი. აორტის და ფილტვის არტერიის ინთიმა სადა, სველი, კრიალა. **სასუნთქი ორგანოები:** ფარისებრი და ხორხის სხვა ხრტილები მთელი. ხორხის, სასულეს და ბრონქების ლორწოვანი მორუხო, სასუნთქ გზებში მოთეთრო-მოვარდისფრო ფერის წვრილბუშტუკოვანი ქაფიანი სითხე (გულმკერდზე ზეწოლისას ქაფიანი სითხე ზედა სასუნთქ გზებში ამოდის). ფილტვის ზომებია: მარჯვენასი- 27,5X17,5X10,5სმ, მარცხენასი 27X17X10სმ. წონით მარჯვენა ფილტვი 650გრ, მარცხენა 580გრ. ავსებენ გულმკერდის ღრუს, ხელის შეხებით ცომისებური, ჭრელი შესახედაობის, ფილტვების მფარავი პლევრა რამდენადმე დაბინდული, მფარავი პლევრის ქვეშ მარცხენა ფილტვის ქვედა წილის უკანა ზედაპირზე (1), მარჯვენა ფილტვის შუა წილის წინა ზედაპირზე (1) და ზემო და ქვემო წილების გარეთა ზედაპირებზე (თითო) აღენიშნება მოწითალო ფერის, ზედაპირიდან რამდენადმე წამოწეული, კეროვანი სისხლჩაქცევები არამკვეთრად შემოსაზღვრული კიდეებით, რომელთა ზომები მერყეობს ~1,0X1,0სმ.-დან 1,2X1,5სმ.-მდე. (რასკაზოვ-ლუკომსკის /პალტაუფის ლაქები). ორივე ფილტვის მფარავი პლევრის ქვეშ აღინიშნება გაფანტული ერთეული მოწითალო ფერის წერტილოვანი ხასიათის სისხლჩაქცევები (ტარდიეს ლაქები). ფილტვის ქსოვილი განაკვეთზე ღრუბლისებური. განაკვეთის ზედაპირიდან გადმოედინება მოვარდისფრო ქაფიანი სითხე მოჭარბებული რაოდენობით. **საჭმლის მომნელებელი სისტემა:** პირის ღრუს ლორწოვანი მოვარდისფრო, ენისქვეშა ძვალი მთელი. საყლაპავის ლორწოვანი მორუხო-მოვარდისფრო, ნაოჭიანობა გასადავებული. კუჭი კაუჭისებური ფორმის, ლორწოვანი მორუხო, ნაოჭიანობა გასადავებული. კუჭის შიგთავსს წარმოადგენს მოჭარბებული რაოდენობით მოყავისფრო ფერის წყალნარევი ნახევრადთხიერი საკვები მასები (ლპობისათვის დამახასიათებელი სუნით). ღვიძლის ზომებია 26X21X8სმ. წონით 1480გრ. ღვიძლის ქსოვილი მოყავისფრო, განაკვეთზე სადა ზედაპირით. ღვიძლის დიდი წილის (VIII სეგმენტის) დიაფრაგმალურ ზედაპირზე, ღვიძლის ქსოვილის სისქეში აღინიშნება ირგვლივ მდებარე ქსოვილებისგან შედარებით მუქი შეფერილობის, ~2სმ. დიამეტრის უბანი (აღებულ იქნა ჰისტოლოგიურ კვლევაზე-ჰისტოლოგიური კვლევით სისხლჩაქცევა არ დადასტურდა); ნაღვლის ბუშტი მსხლისებრი ფორმის, შეიცავს მომწვანო-მოყვითალო ფერის, მომღვრიო, ბლანტ ნაღველს საშუალო რაოდენობით. **შარდ-სასქესო სისტემა:** თირკმლის ზომებია: მარჯვენასი-11X5X3სმ, მარცხენასი-11X5,5X4სმ. მარცხენა თირკმელი წონით 130გრ, მარჯვენა 127გრ. ხელის შეხებით თირკმლები დუნე. კაფსულა პარენქიმას სცილდება იოლად. ზედაპირი სადა, განაკვეთზე მორუხო-მოვარდისფრო, საზღვარი შრეებს შორის ბუნდოვანია. შარდის ბუშტი მსხლისებრი ფორმის, ლორწოვანი მოთეთრო –ხავერდოვანი, დანაოჭებული, ღრუ ცარიელი, შარდს არ შეიცავს. **სისხლმბადი ორგანოები:** ელენთის ზომებია 11,5X7X2,7სმ. წონით 140გრ. ხელის შეხებით დუნე, კაფსულა სადა, პარენქიმას სცილდება იოლად, განაკვეთზე შინდისფერი, იძლევა ანაფხეკს საშუალო რაოდენობით. **შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები:** ფარისებრი ჯირკვლის ზომებია 5X3,5X1,5სმ, განაკვეთზე მოწითალო. თირკმელზედა ჯირკვლები თითქმის თანაბარი, ზომებით 4X3X0,5სმ, სამკუთხა ფორმის, საზღვარი შრეებს შორის გამოხატულია. კუჭუკანა ჯირკვლის ზომებია: 23X3,5X2სმ, მოვარდისფრო, მსხვილმარცვლოვანი. **შენიშვნა:** გვამიდან აღებულია სისხლი და შინაგან ორგანოთა ნაჭრები ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევისათვის. შინაგან ორგანოთა ნაჭრები ჰისტოლოგიური გამოკვლევისათვის, თირკმელი პლანქტონის აღმოსაჩენად. გაკეთდა დამატებითი განაკვეთები მარცხნივ დუნდულოს არეში არსებული სისხლნაჟღენთების მიდამოებში. თავის რბილი საფარი აშრევდა მაქსიმალურად თვალბუდეებზედა კიდეებამდე. გვამიდან აღებული იქნა: 1) ტანსაცმელი დაილუქა 1 ფუთად; 2) პირადი ნივთები, დაილუქა 1 პაკეტად; 3) სისხლის ნიმუში, დაილუქა 1 პაკეტად. 4) ფრჩხილების და თმების ნიმუშები, დაილუქა 1 პაკეტად; 5) ანაწმენდები დაილუქა 1 პაკეტად; 6) ნაცხის ნიმუში დაილუქა 1 პაკეტად; - აღნიშნული პაკეტები სათანადო ოქმის საფუძველზე გადაეცა გამოძიებას. **სასამართლო -სამედიცინო დიაგნოზი:** ასფიქსია წყალში დახრჩობით, გულის მარჯვენა ნახევრის სისხლსავსეობა, სასუნთქ გზებში წვრილბუშტუკოვანი ქაფიანი სითხე, ფილტვების შეშუპება (ცომისებური კონსისტენციის), ფილტვების მფარავი პლევრის ქვეშ კეროვანი სისხლჩაქცევები (რასკაზოვ-ლუკომსკის /პალტაუფის ლაქები), წერტილოვანი ხასიათის სისხლჩაქცევები ეპიკარდიუმის და ორივე ფილტვის მფარავი პლევრების ქვეშ (ტარდიეს ლაქები); ფილტვების ემფიზემა, თავის ტვინის ნივთიერების და რბილი გარსების შეშუპება, მიოკარდიუმის შეშუპება, თირკმლის პრეპარატებში დიატომური და ფიტოპლანქტონის არსებობა. გვამის ლპობითი ცვლილებები და შინაგან ორგანოთა აუტოლიზი. ტერფებისა და მტევნების მიდამოებში კანის შენაოჭება. ქვედა ტუჩის ქობაზე გამოშრობა. სისხლნაჟღენთები თავის, მარჯვენა იდაყვის სახსრის, მარჯვენა წინამხრის მიდამოში, მარცხნივ და მარჯვნივ დუნდულოების მიდამოებში, მარჯვნივ წელის მიდამოს საპროექციოდ, მუცლის მარცხენა გვერდითი მიდამოდან (თეძოს ფრთის საპროექციო მიდამოდან) მარცხენა საზარდულის, ბოქვენის და მარჯვნივ საზარდულის მიდამოში გარდამავალი. სისხლჩაქცევა თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე, სისხლჩაქცევები ორივე თვალის ქუთუთოს ლორწოვანსა და სკლერაში და რეტროპერიტონეალურად ორმხრივ რბილ ქსოვილებში; მცირე მენჯის ღრუს წინა კედელზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები იმბიბიციის სახით, კანის ზერელე ნასკდომი ქვედა ტუჩის მიდამოში, გვამის სხეულზე კანის ზედაპირულად

აშრევებული უბნები და კანის დეფექტი მარჯვენა წინამხრის მიდამოში (სისხლჩაქცევების გარეშე). გვამიდან აღებულ სისხლში ეთილის სპირტი 0,85 პრომილეს რაოდენობით... **სასამართლო ჰისტოლოგიური დიაგნოზი:** თავის ტვინის და რბილი გარსების შეშუპება; მიოკარდიუმის შეშუპება; ფილტვების შეშუპება, კეროვანი სისხლჩაქცევით პლევრის ქვეშ, ფილტვების ემფიზემა; თირკმლის პრეპარატებში დადასტურდა დიატომური და ფიტოპლანქტონის არსებობა; სისხლის ჩაქცევები თავის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე და მარცხენა საზარდულის მიდამოს რბილ ქსოვილებში განვითარებულია სიკვდილის წინა ახლო პერიოდში.."

03.08.2020წ-ს ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა თეთრი ფერის ქაღალდის პაკეტი, რომელიც დალუქულია საქ. შ.ს.ს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ლუქით, ცენტრში წარწერით "დასალუქად N19". ლუქზე არის წარწერა: "31.07.2020წ." და ხელმოწერა /ვერ იკითხება/. პაკეტზე არის წარწერა: "დათვალიერების ოქმი ფოტომასალა 01 დისკზე გიორგი შაქარაშვილი" - პაკეტისა და დალუქვის მთლიანობა არ არის დარღვეული.

პაკეტში, გახსნისას, აღმოჩნდა ერთი ცალი DVD-RW დისკი (გავეცანით მასზე დატანილ ფოტომასალას) და ადგილმდებარეობის (სხვა ადგილის) დათვალიერების ოქმი (22.07.2020წ. 15:30-17:45სთ. ასლი).

ოქმიდან ირკვევა: "... სისხლის სამართლის №032140620001 საქმეზე დანიშნულ სამედიცინო ექსპერტიზის ფარგლებში ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტების და დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრ "ვექტორი"-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტების თანდასწრებით დათვალიერებული იქნა ქ. მცხეთა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის №26-ე კილომეტრის მიმდებარე ტერიტორია დამატებით, კერძოდ აქ არსებული ხიდი და მდინარე არაგვის კალაპოტამდე მისასვლელი ტერიტორია. დათვალიერებაში ასევე მონაწილეობენ ექსპერტ-კრიმინალისტები, რომელთა მიერაც გაზომილი იქნა ზემოაღნიშნული ხიდის ქვეშ არსებული ავტოსამანქანო გზის ბაგანე, რომელიც შეადგენს 6 მეტრს. გზის კიდიდან ლითონის ჯებირამდე მანძილი შეადგენს 2.7 მეტრს. ლითონის ჯებირის სრული სიმაღლე არის 0,83 მეტრი, ხოლო სიმაღლე მის ზედა ბჯენამდე შეადგენს 0,6 მეტრს. ჯებირსა და ასფალტს შორის მანძილი დაფარულია ქვიშა-ხრეშით. ჯებირიდან, იქ სადაც იწყება მდინარე არაგვამდე მისასვლელი გზის ბილიკი, არის საკმაოდ ციცაბო, მიხვეულ-მოხვეული. ბილიკზე არის ერთგვარი საფეხურის მსგავსი ადგილები. ზედაპირზე ალაგ ამოჩრილ-დაფიქსირებულ მდგომარეობაშია სხვადასხვა ზომის ქვები. მტვერი და ქვები ყრია ბილიკის მთელ სიგრძეზე ბეტონის ბჯენამდე. პირველივე მარჯვენა მოსახვევის მარცხენა კუთხეში მიწაში ნახევრად ჩაფლობილია ბეტონის ფილა, რომელსაც მკვეთრად გამოშვერილი აქვს კუთხეები. აღნიშნული ბეტონის ქვევით, მიწაში დაფიქსირებულია კიდევ სამი ბეტონის ფილა ერთმანეთის მეზობლად. ბეტონებზე ზოგან მოსჩანს მისივე რკინის კონსტრუქციები. ბილიკის გასწვრივ, როგორც მარჯვნივ ასევე მარცხნივ ყრია მოზრდილი ზომის ქვები და ბეტონის ფრაგმენტები. ასევე დგას სხვადასხვა სახეობის ხე-ბუჩქნარი, მათ შორის სავარაუდოდ: მაყვლის, ასკილის, ლეღვის, კუნელის და ტყემლის. ჩასასვლელიდან ხიდის პირველ ბურჯთან მიჯრით დგას ასკილის ბუჩქი, რომელთან გავლა თავდახრის გარეშე შეუძლებელია. ბურჯიდან დაახლოებით 13 მეტრში არის მკვეთრი ციცაბო ჩასასვლელი, რომელსაც აქვს ერთგვარი საფეხურები. მის მარჯვენა და მარცხება მხარეს დგას მაყვლის ბუჩქები. გზის შემდგომ რელიეფზე ყრია მოზრდილი ზომის ქვები და შედარებით მეჩხრად დგას სხვადასხვა ჯიშის ხეები, მათ შორის აკაციის და ტირიფის. აღნიშნულის შემდგომ მივდივართ მდინარის კალაპოტთან და იმ ბურჯთან, სადაც ამავე საქმეზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აღმოჩენილი იქნა მუქი ფერის ხელჩანთა. კალაპოტის ამ ნაწილში წყალი შედარებით დაბალია და მოსჩანს ფსკერი და შიგნით არსებული ქვები... საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ მაგისტრალის №26-ე კილომეტრში არსებული შპს. "ქებაბჰაუსის" მიმდებარე ტერიტორიიდან დასურათებული იქნა გზის ასფალტირებული და მისი გვერდითი საფარი ხიდის ქვეშ, ბილიკის დასაწყისამდე. ასევე დასურათებული იქნა და ჩადებული იქნა ვიდეოზე ბილიკის დასაწყისიდან მდინარე არაგვის კალაპოტამდე..."

07.08.2020წ-ს ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა თეთრი ფერის ქაღალდის პაკეტი, რომელიც დალუქულია საქ. შ.ს.ს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ლუქით, ცენტრში წარწერით "დასალუქად N19". ლუქზე არის ხელმოწერა /ვერ იკითხება/. პაკეტზე არის წარწერა: "დათვალიერების ოქმი და ფოტოები დისკზე" - პაკეტისა და დალუქვის მთლიანობა არ არის დარღვეული.

პაკეტში, გახსნისას, აღმოჩნდა ერთი ცალი CD-R დისკი (გავეცანით მასზე დატანილ ფოტომასალას) და ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმი (06.08.2020წ. 13:40-16:55სთ. ასლი).

ოქმიდან ირკვევა: "... დასათვალიერებელ ტერიტორიას წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 26-ე კილომეტრზე მდებარე მდინარე არაგზე გამავალი საავტომობილო ხიდის ქვედა ადგილი, მდინარე არაგვის კალაპოტი და მდინარის მიმართულებით გიორგი შაქარაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილამდე ტერიტორია. ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად ჩავდივართ აღნიშნული ხიდის ქვეშ არსებულ მეორეხარისხოვანი გზიდან დამრეცი უსწორმასწორო ბილიკით. ბილიკზე ჩასვლისას გვხვდება აღნიშნული ხიდის ორი ბურჯი, სადაც წყალი არ არის. აღნიშნული ბურჯების შემდგომ არის სწორი ზედაპირის მქონე ბუჩქოვანი ტერიტორია, რომლის გავლითაც დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით მივდივართ უშუალოდ მდინარის ნაპირთან, სადაც განთავსებულია ხიდის ბურჯები, რომლებიც მოქცეულია წყალში. აღნიშნულ ბურჯებსა და მოპირდაპირე მხარეს შორის მიედინება მდინარე არაგვი დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით. მარცხენა მხარეს განთავსებული ხიდის ბურჯი არის გიორგი შაქარაშვილის

ჩანთის აღმოჩენის ადგილი, პირობითად N1 ბურჯი, ხოლო მის მარჯვენა მხარეს განთავსებულია პირობითად N2 ბურჯი (ბურჯებზე განთავსდა შესაბამისი ნუმერაციის აღმნიშვნელი საგნები). დათვალიერებისას, მდინარის სწრაფი დინების გამო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინსპექტორების მიერ გამოყენებული იქნა სპეციალური ნავი და თოკები, რადგან, ნავის გარეშე, მდინარის სწრაფი დინების გამო შეუძლებელი იყო ფეხზე დგომა (მდინარე წაიღებდა შესაბამის თანამშრომელს). მდინარის სიღრმის გასაზომად გამოყენებული იქნა ლითონის გრძელი ჯოხი, რომელზეც დამაგრებული იქნა საზომი ლითონის ლენტი. თავდაპირველად გაზომილი იქნა წყლის სიღრმე N1 და N2 ბურჯების გადასწვრივ მდინარე არაგვის კალაპოტში, ხოლო შემდგომ გაზომილი იქნა წყლის სიღრმე მდინარე არაგვის დინების მიმართულებით, გიორგი შაქარაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილამდე ტერიტორიაზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 16 (თექვსმეტი) ადგილას. დადგინდა შემდეგი: N1 ბურჯის გასწვრივ მდინარის კალაპოტში წყლის სიღრმემ შეადგინა 172სმ; N2 ბურჯიდან გასწვრივ მდინარის კალაპოტში წყლის სიღრმემ შეადგინა 243სმ; აღნიშნული ბურჯების შემდგომ გიორგი შაქარაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილამდე გაზომილი ადგილებიდან: N1 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 151სმ; N2 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 150სმ; N3 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 169სმ; N4 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 223სმ; N5 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 199სმ; N6 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 160სმ; N7 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 247სმ; N8 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 178სმ; N9 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 170სმ; N10 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 164სმ; N11- მდინარის სიღრმემ შეადგინა 154სმ; N12 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 167სმ; N13 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 176სმ; N14 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 150სმ; N15 - მდინარის სიღრმემ შეადგინა 168სმ; N16 - გიორგი შაქარაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილთან მდინარის სიღრმემ შეადგინა 120სმ...“

ზურაბ გრიგოლაშვილი

გიორგი ცინცაძე

ეკა ჩავლეიშვილი

ალექსანდრე გეჯაძე

კახაბერ ერისთავი

გამოყენებული მასალები

004559120

ექსპერტის დასკვნა № 004559120

მოქ. გიორგი შაქარაშვილის მიმართ - სისხლის სამართლის №032190620001 საქმის მასალები - 2 ტომი (ასლები) და 3 ცალი დისკი.

ერთი ცალი დისკი და ადგილმდებარეობის (სხვა ადგილის) დათვალიერების ოქმი (დათარიღებული 22.07.2020წ. -ით, ასლი).

ერთი ცალი დისკი და ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმი (06.08.2020წ. -ით, ასლი).

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: გიორგი ცინცაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახი ახალკაციშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ნინო კიკაბიძე